**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
**„განათლების ადმინისტრირება“ (I ნაწილი)**

მისაღები გამოცდა სპეციალობაში
(ინსტრუქცია და საგამოცდო საკითხები)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერითი ფორმით და გულისხმობს განათლების ადმინისტრირების საკითხებზე სხვადასხვა სახის დავალების შესრულებას. დადებით შეფასებად ჩაითვლება 51 ქულიანი ბარიერის გადალახვა.

**საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა:**

- ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურების დახასიათება, პრობლემებისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი - სულ 40 ქულა (თითოეული საფეხურის ანალიზი შეფასდება 20 ქულით);
- ესსე (განათლების ადმინისტრირების საკითხზე) - 10 ქულა;
- სიტუაციური ამოცანა/შემთხვევის ანალიზი - სულ 40 ქულა (2 ქეისი, თითოეული შეფასდება 20 ქულით);
- ღია კითხვები - სულ 10 ქულა (10 კითხვა, თითოეული შეფასდება 1 ქულით).

<u>თეორიული საკითხის (საფეხურის დახასიათების) შეფასების კრიტერიუმები:</u>

1. საკითხის ზოგადი ცოდნა - 0-2 ქულა;
2. საკითხის ძირითადი მახასიათებლების სრულყოფილი დახასიათება - 0-2 ქულა;
3. ძირითადი ცნებებისა და პრინციპების სწორად გამოყენება - 0-2 ქულა;
4. პრობლემების იდენტიფიცირება - 0-2 ქულა;
5. პრობლემების ანალიზი - 0-2 ქულა;
6. განვითარების პერსპექტივებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების წარმოჩენა - 0-2 ქულა;
7. არგუმენტირებული მსჯელობა - 0-2 ქულა;
8. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება - 0-2 ქულა;
9. ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 0-2 ქულა;
10. წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, აკადემიური ენა) - 0-2 ქულა.

<u>ესსე-ს შეფასების კრიტერიუმები:</u>

1. ესსე-ს ძირითადი იდეის (მიზნის) მკაფიოდ ჩამოყალიბება - 0-2 ქულა;
2. საკითხის ზოგადი ცოდნა - 0-1 ქულა;
3. ორიგინალური ხედვის წარმოჩენა - 0-1 ქულა;
4. თანმიმდევრული დალოგიკური მსჯელობა - 0-1 ქულა;
5. საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი დასაბუთება - 0-1 ქულა;
6. შინაარსის კორექტულობა და თემასთან შესაბამისობა - 0-1 ქულა;
7. ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 0-1 ქულა;
8. წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, აკადემიური ენა) - 0-2 ქულა.

<u>სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები:</u>

1. პრობლემის იდენტიფიცირება - 0-2 ქულა;
2. პრობლემის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა - 0-2 ქულა;
3. გამოვლენილი პრობლემის ანალიზი - 0-2 ქულა;
4. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის გამოყენება - 0-2 ქულა;
5. დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინება - 0-2 ქულა;
6. მოვლენის განვითარების ალტერნატიული ვარიანტების ჩამოყალიბება - 0-2 ქულა;
7. პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა - 0-2 ქულა;
8. პრობლემის გადაჭრის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების არგუმენტირებული დასაბუთება - 0-2 ქულა;
9. მსჯელობის ლოგიკურობა, თანმიმდევრულობა და დასკვნის სიზუსტე - 0-2 ქულა;
10. წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, აკადემიური ენა) - 0-2 ქულა.

<u>ღია კითხვის შეფასების კრიტერიუმები:</u>

1. პასუხი სწორია და შეესაბამება დასმულ კითხვას - 1 ქულა;
2. პასუხი არასწორია ან არ არის გაცემული - 0 ქულა.

**საგამოცდო საკითხები**

1. საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა და ზოგადი დახასიათება;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საფეხურები და მათი მისია;
3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურა და მმართველობითი რგოლები;
4. უმაღლესი განათლების მიზნები და საფეხურები;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა;
6. სასწავლო პროცესის მართვა/ორგანიზება ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე;
7. ხარისხის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანობის შეფასება;
8. აკადემიური კეთილსინდისიერება და მისი დაცვის მნიშვნელობა;
9. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლებაში;
10. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
11. ინკლუზიური განათლება: მრავალფეროვნება და სწავლის უნივერსალური დიზაინი;
12. განათლება და საზოგადოების მდგრადი განვითარება;
13. კომუნიკაცია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და მონაცემთა გამოყენება განათლების მართვაში;
14. საგანმანათლებლო ლიდერობა, პირადი ძალაუფლება, გავლენა და ორგანიზაციული კულტურა;
15. კონფლიქტების, ცვლილებებისა და სტრესის მართვა ორგანიზაციაში;
16. სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების როლი მოსწავლის პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერაში;
17. განათლების რეფორმა საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები;
18. მოტივაცია სასწავლო პროცესში;
19. გენდერის ფაქტორი ლიდერობაში;
20. საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობა: თანამედროვე გამოწვევები და რისკები.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. თბილისი, 2005 წ.
2. საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, 2004 წ;
3. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, 2010 წ.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა (მოქმედი რედაქცია);
5. ე. ბოჭორიშვილი, ნ. პერანიძე განათლების სექტორი საქართველოში, საქართველო | განათლება - სექტორის მიმოხილვა. 28 ივლისი, 2020 წ.
6. ი. გრძელიძე, გ. ბუჩაშვილი, მ. ქარჩავა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2023 წ.
7. მ. რატიანი. გზამკვლევი სკოლის დონეზე პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. თბილისი, 2021 წ.
8. სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან; გზამკვლევი განკუთვნილია პედაგოგებისა და ინკლუზიური განათლების სფეროს სპეციალისტებისთვის. გზამკვლევზე მუშაობდა: შორენა ტყეშელაშვილი; 2021 წ.
9. მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი, ჟანა კვაჭაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ნათია გაჩეჩილაძე; სასწავლო აქტივობები ყველასათვის; სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში გზამკვლევი მასწავლებლებისთვის;
10. ბ. შუკაკიძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვის საკითხები. (საგანმანათლებლო საზოგადოების ფორმირება, განათლების რეფორმა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა დისციპლინა, სკოლის კულტურა, კონფლიქტი, კომუნიკაცია). გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გორი, 2018 წ.
11. ნ. ლაბარტყავა, ქ. ოსიაშვილი, მ. საჯაია, ქეთევან კობალაძე. უსაფრთხო სკოლა. მასწავლებლის წიგნი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018 წ.
12. ნ. ანდღულაძე. სასკოლო სისტემის მართვის დივერსიფიცირება: თეორია და პრაქტიკა. ლიტერატურის მიმოხილვა. 2017 წ.
13. ნ. ორჯონიკიძე, მ. ახვლედიანი. მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები (ლექციების კურსი). თბილისი, 2014 წ.
14. ე. ბეკმენი, ბ. ტრაფორდი. სკოლების დემოკრატიული მმართველობა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013 წ.
15. თ. მოსიაშვილი. საჯარო სკოლაში შიდა კონტროლის მექანიზმები და მართვის სტილი საქართველოში. თბილისი, 2012 წ.

16. სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2011 წ.
17. ქ. ჩაჩხიანი, შ. ტაბატაძე. სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა. გზამკვლევი სკოლების ადმინისტრაციისთვის. თბილისი, 2010 წ.
18. Thomas J., Sergiovanni. The Principalship. A Reflective, Practice, Perspective. Publisher: Pearson, 2009. (ქართული თარგმანი 2010 წ. - ტომას ჯ. სერჯიოვანი. სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა);
19. Richard Gorton, Judy A. Alston, Petra Snowden. School Leadership & Administration. (Important Concepts, Case Studies & Simulations). McGraw-Hill, 2007. (ქართული თარგმანი 2010 წ. - რიჩარდ ა. გორტონი, ჯუდი. ა. ალსტონი, პეტრა ი. სნოუდენი. ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში (მნიშვნელოვანი ცნებები, სიტუაციური სავარჯიშოები და სიმულაციები);
20. რობერტ ჯ. მარზანო, ჯენიფერ ს. ნორფორდი, მარსია დ' არქანჯელო. რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას. თბილისი, 2009 წ.


**ვებ-გვერდები:**

https://www.mes.gov.ge/
https://www.tpdc.ge/geo/
https://eqe.ge/ka
https://www.naec.ge/#/ge/index
http://mandaturi.gov.ge/

**<u>საკონტაქტო პირი:</u>**


ნანა მაკარაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ტელეფონი: (+995) 593 606071
ელ. ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge


გისურვებთ წარმატებებს!